



12371/3-17/21 2 20122021

12371/3-17/21

20-12-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ნათელა თურნავას

ქალბატონო ნათელა,

მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საერთაშორისო იურიდიულ კომპანია Hogan Lovells-ს უნდა მოემზადებინა ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც საქართველოს მთავრობა ფოთის პორტის ოპერატორ კომპანია APM Terminals-სთან ახალი ტერმინალის მშენებლობის შესახებ გააფორმებს.

იურიდიულ ფირმას სამუშაო ჯერ 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაესრულებინა, შემდეგ მას ვადა 2021 წლის 30 ივნისამდე გაუგრძელდა და 1.2-მილიონიანი კონტრაქტი კიდევ რამდენიმე თვით, 30 სექტემბრამდე გახანგრძლივდა.

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია და შესაბამისად, დოკუმენტაცია მოცემული იურიდიული კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რომან გოცირიძე



KA020130108049021

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 17/9036

29 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენი 2021 წლის 20 დეკემბრის №12371/3-17/21 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება საქართველოს მთავრობასა და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“ შორის ფოთის საზღვაო ნავსადგურის გაფართოებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების დადების მიზნით საერთაშორისო იურიდიული კომპანია “Hogan Lovells International LLP“-ის (შემდგომში - Hogan Lovells) მიერ განეული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის და შესაბამისად, დოკუმენტაციის წარმოდგენას, მოგახსენებთ, რომ Hogan Lovells-მა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაუწია იურიდიული მომსახურება, რაც გამოიხატა ხელშეკრულებების პროექტების მომზადებითა და მოლაპარაკებების პროცესში ჩართულობით. ამასთან, Hogan Lovells იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე სამართლებრივ კონსულტაციებს უწევდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელშეკრულებების პროექტების საკვანძო სამართლებრივი საკითხების შესახებ და მოლაპარაკებების პროცესებთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურთან“ კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი და ხელშეკრულების გაფორმება მოხდება მხარეების მიერ საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემდგომ.

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე, მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“ შორის დადებული კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას წარმოგიდგინოთ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

ოთარი დანელია